



ფესტივალის წესები და პირობები

მონაწილეობა

საკონკურსო ნამუშევრის წარდგენა შეუძლიათ:

პროფესიონალ ოპერატორებს;

სტუდენტებს;

ტელეკომპანიებს;

სტუდიებს ან შემოქმედებით გაერთიანებებს;

ნამუშევარზე საავტორო უფლების მფლობელებს;

ყველა ზემოთ ხსენებული პირი მოხსენიებული იქნება, როგორც კონკურსის მონაწილე და იქნება პასუხისმგებელი ფესტივალის წესებისა და პირობების შესაბამისად.

საკონკურსო ფილმები უნდა აკმაყოფილებდნ შემდეგ პირობებს:

- მხატვრული ან დოკუმენტური კინო, ექსპერიმენტული კინო

- ფილმის ხანგრძლივობა

- ჩვენების ფორმატი - ციფრული ვერსია

ფესტივალზე ნომინირებულ ფილმებს თან უნდა ახლდეს რიგი დოკუმენტები: სუბტიტრები ინგლისურად, სარეკლამო და პრეს მასალები, მასალები კატალოგისათვის ინფორმაცია ფილმის ავტორებზე, კინოფილმის ფოტოები და რეჟისორის ფოტო.

ნომინირებული ფილმების შესახებ ინფორმაციას მიიღებთ ელექტრონული ფოსტით.

დარწმუნდით, რომ თვექენს მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართი სწორია.

კონკურსის მონაწილე პასუხისმგებელია უზრუნველყოს წარდგენილი ნამუშევრის საავტორო უფლებების ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესაბამისობა. კინო და ტელე ოპერატორების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს თვალი“ არ არის ვალდებული შეამოწმოს საკონკურსო ნამუშევრის შესაბამისობა ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, მხოლოდ კონკურსის მონაწილეს აქვს საკონკურსო ნამუშევრის შესახებ ეს ინფორმაცია და მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა.

ვადები

ნამუშევრის წარდგენა

საკონკურსო ნამუშევრები შესაძლებელია გამოიგზავნოს ფოსტით კონკურსანტისთვის სასურველ ფორმატში შემდეგ მისამართზე:

ააიპ „ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ფონდი“

მარიჭანის ქუჩა #2, მესამე სართული 0186

თბილისი, საქართველო

სასურველია გამოიყენოთ ექსპრეს ფოსტა (DHL; TNT; FedEx) ან აიტვირთოს ინტერნეტ სივრცეში და მოაწოდონ საკონკურსო ნამუშევრის გადმოსაწერად საჭირო ბმული ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფს.



ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფში დაგვიანებით მოსული საკონკურსო ნამუშევარი კონკურსის მონაწილესთან შეთანხმების საფუძველზე დარეგისტრირდება და მონაწილეობას მიიღებს შემდეგი წლის ფესტივალის კონკურსში.

საკონკურსო ნამუშევრები წარდგენილი უნდა იქნას (პერიოდი).

შენიშვნა: კონკურსანტის ინტერესებიდან გამომდინარე წარდგენილი საკონკურსო ნამუშევარი უნდა იყოს ტექნიკურად გამართული (დაუზიანებელი ფაილი), რათა ფესტივალის ჟიურის არ შეეშალოს ხელი მუშაობაში. ტექნიკურად გაუმართავი (დაზიანებული ფაილი) საკონკურსო ნამუშევრის წარდგენის შემთხვევაში არ მოხდება მათი კონკურსში მონაწილეობა.

თუ საკონკურსო ნამუშევარი შეიცავს მასალას, რომელიც მიმართულია დისკრიმინაციისაკენ ან შეურაცხყოფს ნებისმიერ საზოგადოებრივ ჯგუფს მოიხსნება კონკურსიდან.

გადაწყვეტილება მიიღება უშუალოდ შერჩევის პროცესში საკონკურსო ჟიურის მიერ.

ჩვენების ნებართვა

ფესტივალის წესებზე და პირობებზე თანხმობით და მონაწილეობის ფორმის შევსებით მონაწილე უფლებას ანიჭებს ფესტივალს საკონკურსო ნამუშევრის ჩვენებაზე ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად:

გამოიყენოს ფრაგმენტები და ფოტოსურათები საკონკურსო ნამუშევრიდან PR მიზნებისთვის. ფრაგმენტები, სურათები საკონკურსო ნამუშევრიდან ან დამატებითი მასალა გამოიყენოს ტელე ეთერით, ფესტივალის ვებ გვერდზე, ნაბეჭდ პროდუქციაზე, ან ინტერნეტის საშუალებით.

განახორციელოს საკონკურსო ნამუშევრის არაკომერციული ჩვენება ფესტივალის ფარგლებში.

საპრიზო კატეგორიები და ნომინაციები

- გრან-პრი - ოქროს თვალი;
- საუკეთესო კინოოპერატორული ნამუშევარი;
- საუკეთესო ტელეოპერატორული ნამუშევარი;
- სარისკო კადრი;
- საუკეთესო სტუდენტური ნამუშევარი;

გამარჯვებულების გამოვლენა

მიღებული საკონკურსო ნამუშევრებიდან გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი

ფესტივალის სელექციის ჟიური შეარჩევს 3 საკონკურსო ნამუშევარს (ნომინანტს) თითოეულ ნომინაციაზე; ნომინანტებს საორგანიზაციო ჯგუფი აცნობებს მეორე ეტაპზე გადასვლის შესახებ. (ელექტრონული ფოსტით).



მეორე ეტაპი

ფესტივალის საერთაშორისო ჟიური თითოეულ ნომინაციაზე გადარჩეული 3 საკონკურსო ნამუშევრიდან (ნომინანტიდან) ნომინაციაში გამარჯვებულს გამოავლენს; გამარჯვებული ნამუშევრები დასახელდება ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიაზე.

პასუხისმგებლობა

კინო და ტელე ოპერატორების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს თვალი“ არ არის პასუხისმგებელი ტრანსპორტირებისას დაკარგულ, დაზიანებულ ან დაგვიანებით წარდგენილ საკონკურსო ნამუშევრებზე. საქართველომდე ფილმების ტრანსპორტირების ხარჯებს ფესტივალი არ იღებს საკუთარ თავზე ფესტივალის ორგანიზატორები იტოვებენ უფლებას შესწორება შეიტანონ საკონკურსო პირობებში.

ყველა საკონკურსო ნამუშევარი ინახება ფესტივალის ფონდში და მონაწილეს უკან არ დაუბრუნდება.